



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოების, თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების მიერ დასვენების დღეებში მიწოდებული მომსახურებისა და სამუშაო სპეციფიკის განსაზღვრის შესახებ

№ 99/ს

12 / იანვარი / 2023 წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის № 85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოები - თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლი და ბათუმის იუსტიციის სახლი დასვენების დღეებში - შაბათსა და კვირას, ხოლო ქუთაისის იუსტიციის სახლი დასვენების დღეს - შაბათს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დღეები ემთხვევა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებს) უფლებამოსილნი არიან:

ა) მიიღონ განცხადება საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოში სტატუსი მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის, პირადობისა და ბინადრობის ელექტრონული მონშობის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მონშობის, საინფორმაციო ბარათის, მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის განცხადების წარდგენის დღესვე გაცემის, ასევე ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის სამგზავრო დოკუმენტის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო პასპორტის და დროებითი ბინადრობის მონშობის გაცემის თაობაზე და გასცენ შესაბამისი დოკუმენტი;

ბ) მიიღონ განცხადება დაბადების, გარდაცვალებისა და განქორწინების სამოქალაქო აქტების პირველადი რეგისტრაციის მონშობის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მონშობის/სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის განმეორებით, განცხადების წარდგენის დღესვე გაცემის თაობაზე, თუ შესაბამისი სამოქალაქო აქტი ფიქსირდება სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, ასევე, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის განცხადების წარდგენის დღესვე გაცემის თაობაზე და გასცენ შესაბამისი მონშობა/ცნობა;

გ) მიიღონ განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე, თუ ქორწინების რეგისტრაციასთან ერთად მოთხოვნილია სპეციალური სარიტუალო ან შენობის გარეთ (ადგილზე) მომსახურების განწვევა განცხადების წარდგენის დღესვე;

დ) მიიღონ განცხადება საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მონშობის, მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მონშობის, დროებითი ბინადრობის ელექტრონული მონშობის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის დაბლვევის თაობაზე, გასცენ შესაბამისი პოლისი. ასევე, მიიღონ განცხადება დაბლვევის განაცხადის ან სადაბლვევო პოლისის გაუქმების თაობაზე;

ე) მიიღონ განცხადება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის, პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონშობის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატებთან ერთად პერსონალური ავთენტიფიკაციის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აქტივაციისა და განბლოკვის კოდების განმეორებით გაცემის თაობაზე;

ვ) მიიღონ განცხადება საერთაშორისო სიმ ბარათის გაცემის თაობაზე და გასცენ შესაბამისი საერთაშორისო სიმ ბარათი;

ზ) მიიღონ განცხადება სამოგზაურო დაბლვევის პოლისის თაობაზე და გასცენ დამზადებული სამოგზაურო დაბლვევის პოლისი;

თ) უზრუნველყონ ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადებული ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (ტოკენი) და აქტივაციის მონაცემების (პინკოდების) გადაცემა;

ი) უზრუნველყონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატებთან ერთად პერსონალური ავთენტიფიკაციის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აქტივაციისა და განბლოკვის კოდების, დაინტერესებული პირისათვის გადაცემა დალუქული კონვერტით;

კ) ფიზიკურ პირებთან გააფორმონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების ნამკითხველის (Minilector Evo და სხვა სახეობის) ნასყიდობის ხელშეკრულება;

ლ) უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყონ კოვიდ ბარათის გაცემა;

მ) უზრუნველყონ შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადებული უფლებამოსილი პირისათვის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით დამზადებული დოკუმენტის გადაცემა.

2. დასვენების დღეს, შაბათს, თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლი, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლები უფლებამოსილი არიან, მიიღონ განცხადება ნასამართლობის ცნობის განცხადების წარდგენის დღესვე გაცემის თაობაზე და გასცენ შესაბამისი დოკუმენტი.

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოების, თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების სამუშაო საათები განისაზღვრება 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.


4. ამ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის ფილიალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების მიერ დასვენების დღეებში მიწოდებული მომსახურებისა და სამუშაო სპეციფიკის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის № 11707/ს ბრძანება.

5. დაევალოს იუსტიციის სახლის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

6. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის თავმჯდომარე



ლაშა ლობჯანიძე